ოქმი:**ო63.63212023**
თარიღი:**21/07/2021**

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ბიუროს რიგგარეშე სხდომის

ო ქ მ ი N 30

ქ. სამტრედია. 16 ივლისი, 2021 წელი.

2021 წლის 16 ივლისს, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის, კობა ძიძიგურის, თავმჯდომარეობით ჩატარდა სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს რიგგარეშე სხდომა.

სხდომას ესწრებოდნენ: კობა ძიძიგური, მანანა სირბილაძე, ბადრი შენგელია, გიორგი ლეჟავა, ტარიელ დვალიშვილი, დავით ამაღლობელი, ვაჟა სტურუა, ლიზა კრავეიშვილი, ბაია იმესაშვილი მ/შ.

სხდომის თავმჯდომარემ ბიუროს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი.

დღის წესრიგი

1. მუნიციპალიტეტის საკრებულოში მერიიდან შემოსული წერილობითი მომართვის

   განხილვის შესახებ.

/მომხსენებელი: კობა ძიძიგური/

2. სხვადასხვა

კენჭისყრის შედეგად, (9 ხმით) მიღებულია დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

1. 2021 წლის 16 ივლისის N 62-622119684, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის წერილობთი მომართვა, რომელიც ეხება ა.(ა).ი.პ. „სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომუნალური გაერთიანება''-ს 2021 წლის სუბსიდიის გეგმაში ცვლილების შეტანის საკითხს. იზრდება 2021 წლის ბიუჯეტი 20.00 ათ.ლარით. შესაბამისად იზრდება ხარჯები. კერძოდ, ტრანსპორტის ტექნიკის ექსპლოატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯების მუხლში მიმდინარე რემონტის

ხარჯის თანხა იზრდება 11.00 ათ.ლარით, ტრანსპორტის ტექნიკის ექსპლოატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯების მუხლში ექსპლოატაციის, მოვლა შენახვისა და სათადარიგო ნაწილების შეძენის ხარჯი 9.00 ათ.ლარით. ასევე ხორციელდება შიდა მუხლობრივი ცვლილება, კერძოდ, ოფისის მუხლიდან კავშირგაბმულობის ხარჯის თანხა მცირდება 0.50 ათ.ლარით, სამედიცინო ხარჯების მუხლის თანხა 2.0 ათ.ლარით, სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურეობის მუხლიდან, აუდიტორული მომსახურეობის ხარჯის თანხა 0.18 ათ.ლარით, შესაბამისად სოციალური უზრუნველყოფის ხარჯის მუხლის თანხა იზრდება 2,68 ათ. ლარით.

(მომართვის 62-622119684, 16/07 /2021 წ. საკრებულოს რეგისტრაციის N 12-63211964-63, 16/07/2021 წ.)

კენჭისყრის შედეგად, ბიუროს წევრთა გადაწყვეტილებით, ძირითად განმხილველ კომისიად განისაზღვრა საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისია.

2. ***2021 წლის 16 ივლისის*** N 62-622119723, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის წერილობთი მომართვა, რომელიც ეხება ა.(ა).ი.პ. „სამტრედიის მუნიციპალიტეტის ეროსი მანჯგალაძის სახელობის კულტურის ცენტრი“-ს 2021 წლის სუბსიდიის გეგმაში ცვლილების შეტანის საკითხს. არაფინანსური აქტივები იზრდება 10.0 ათ.ლარით (არსებული მოძრავი სცენის დაზიანებული ზედა ნაწილის ახლით მოსაწყობად) და შესაბამისად მოწესრიგდება 2020 წლის 18 დეკემბრის N38 180 განკარგულებით დამტკიცებულ 2021 წლის ბიუჯეტის გეგმა.

(მომართვის N 62-622119723, 16/07 /2021 წ. საკრებულოს რეგისტრაციის N 12-63211976-63, 16/07/2021 წ.)

კენჭისყრის შედეგად, ბიუროს წევრთა გადაწყვეტილებით, ძირითად განმხილველ კომისიად განისაზღვრა საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისია.

3. ***2021 წლის 15 ივლისის*** N 62-6221196100, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის წერილობთი მომართვა, რომელიც ეხება ა.(ა).ი.პ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის ,,მოსწავლე -ახალგაზრდობის სახლი’’-ს 2021 წლის სუბსიდიის გეგმაში ცვლილების შეტანის საკითხს. 2021 წლის სუბსიდიით გასაწევი ხარჯების გეგმა იზრდება 17.70 ათ.ლარით. კერძოდ ფოიესა და კიბის უჯრედის სარემონტო სამუშაოებისათვის არაფინანსური აქტივების (არასაცხოვრებელი შენობები) ხარჯის მუხლში თანხა იზრდება 13,70 ათ.ლარით, მიმდინარე ხარჯებისთვის 4.00 ათ.ლარით, მ.შ. საკანცელარიო, საწერ-სახაზავი ქაღალდის, საბუღალტრო ბლანკების, ბიულეტინების, საკანცელარიო წიგნების და სხვა ანალოგიური მასალების შეძენის ხარჯი 0.30 ათ.ლარით, კომპიუტერული პროგრამების შეძენის და განახლების შეძენის ხარჯი 0.40 ათ.ლარით, გამათბობელი და გამაგრილებელი ტექნიკის შეძენის ხარჯი 0.20 ათ.ლარით, ოფისისათვის საჭირო საგნების და მასალების შეძენის ხარჯი 0.50 ათ.ლარის, რეცხვის, ქიმწმენდის და სანიტარული საგნების შეძენის ხარჯი 0.30 ათ.ლარით, წყლის ხარჯი 0.70 ათ.ლარით, ოფისის ხარჯის, რომელიც არაა კლასიფიცირებული 0.30 ათ.ლარით, საარქივო მომსახურეობის ხარჯი 0.80 ათ.ლარით, სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურეობის ხარჯი 0.50 ათ.ლარით.

(მომართვის N 62-6221196100, 15/07 /2021 წ. საკრებულოს რეგისტრაციის N 12-

63211975-63, 16/07/2021 წ.)

კენჭისყრის შედეგად, ბიუროს წევრთა გადაწყვეტილებით, ძირითად განმხილველ კომისიად განისაზღვრა საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისია.

4. ***2021 წლის 16 ივლისის*** N 62-622119727, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის წერილობთი მომართვა, რომელიც ეხება ა.(ა).ი.პ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის ხელბურთელთა კლუბი „სამტრედია“-ს 2021 წლის სუბსიდიის ხარჯებში ცვლილების შეტანის საკითხს. კერძოდ, ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა ანაზღაურება მცირდება 3.00 ათ.ლარით, მივლინება ქვეყნის გარეთ 5.00 ათ.ლარით, საკანცელარიო ხარჯი 0.50 ათ.ლარით, სამედიცინო ხარჯი 0.50 ათ.ლარით, რბილი ინვენტარისა და უნიფორმის შეძენის ხარჯი 3.00 ათ.ლარით, სხვა დანარჩენი (იჯარა) ხარჯი 0.70 ათ.ლარით და საწევროს ხარჯი 0.50 ათ.ლარით, შესაბამისად კომპიუტერული პროგრამების განახლების ხარჯი 0.40 ათ.ლარით გაზრდას და კულტურული, სპორტული, საგანმანათლებლო და საგამოფენო ღონისძიებების ხარჯები 12.80 ათ.ლარით.

(მომართვის N 62-622119727, 16/07 /2021 წ. საკრებულოს რეგისტრაციის N 12-63211977-63, 16/07/2021 წ.)

კენჭისყრის შედეგად, ბიუროს წევრთა გადაწყვეტილებით, ძირითად განმხილველ კომისიად განისაზღვრა საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისია.

5. ***2021 წლის 15 ივლისის*** N 62-622119683, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის წერილობთი მომართვა, რომელიც ეხება ა.(ა).ი.პ. რაგბის გუნდი „ფენიქსი“-ს 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ.

(მომართვის N 62-622119683, 15/07 /2021 წ. საკრებულოს რეგისტრაციის N 12-63211963-63, 15/07/2021 წ.)

კენჭისყრის შედეგად, ბიუროს წევრთა გადაწყვეტილებით, ძირითად განმხილველ კომისიად განისაზღვრა საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისია.

6. ***2021 წლის 15 ივლისის N*** N 62-622119699, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის წერილობთი მომართვა, რომელიც ეხება მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის 2021 წლის მიზნობრივი სოციალური პროგრამაში ცვლილების შეტანის საკითხს. კერძოდ,

1. სოციალური ბიუჯეტი გაიზარდოს 92 000 - ლარით;

კერძოდ გაიზარდოს:

მუხლი 1. მოქალაქეთა სამედიცინო მომსახურება - 50 000 ლარით;

მუხლი 17. ერთჯერადი დახმარება განსაკუთრებულ შემთხვევაში ---40 000 ლარით;

მუხლი 15. 2008 წლის აგვისტოს ომში გარდაცვლილ მეომართა ოჯახების ფინანსური დახმარება ------- 2 000 ლარით;

(მომართვის N 62-622119699, 15/07 /2021 წ. საკრებულოს რეგისტრაციის N 12-63211974-63, 16/07/2021 წ.)

კენჭისყრის შედეგად, ბიუროს წევრთა გადაწყვეტილებით, ძირითად განმხილველ კომისიად განისაზღვრა საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისია.

7. ***2021 წლის 15 ივლისის*** N 62-622119688, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის წერილობთი მომართვა, რომელიც ეხება „სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 18 დეკემბრის N17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის საკითხს.

(მომართვის N 62-622119688, 15/07 /2021 წ. საკრებულოს რეგისტრაციის N 12-63211972-63, 16/07/2021 წ.)

კენჭისყრის შედეგად, ბიუროს წევრთა გადაწყვეტილებით, ძირითად განმხილველ კომისიად განისაზღვრა საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისია.

8. ***2021 წლის 15 ივლისის*** N 62-622119682, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის წერილობთი მომართვა, რომელიც ეხება საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილების შესაბამისად რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სამტრედიის მუნიციპალიტეტში 2021 წელს განსახორციელებელი 9 პროექტის მოწონების საკითხს.

(მომართვის N 62-622119682, 15/07 /2021 წ. საკრებულოს რეგისტრაციის N N:12-63211962-63, 15/07/2021 წ.)

კენჭისყრის შედეგად, ბიუროს წევრთა გადაწყვეტილებით, ძირითად განმხილველ კომისიად განისაზღვრა ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისია.

9. ***2021 წლის 15 ივლისის*** N : 62-622119694, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის წერილობთი მომართვა, რომელიც ეხება შემდეგი განკარგულების პროექტების განხილვისა და დამტკიცების საკითხს. კერძოდ:

1. ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ დიდი ჯიხაიშში მდებარე 24.00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.02.47.237), ქალაქ სამტრედიაში, კოსტავას ქუჩაზე მდებარე 269.00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.58.125), ქალაქ სამტრედიაში, ძმები გოგიების ქუჩაზე მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (1691.00 კვ.მ) მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.72.120) მდებარე №1 შენობა-ნაგებობის, სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ მელაურში მდებარე 145000.00 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.12.57.275), ქალაქ სამტრედიაში, კოსტავას ქუჩაზე მდებარე 275.00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.58.292) და სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ეწერში მდებარე 133435.00 კვ.მ სასოფლოსამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.06.41.201) საპრივატიზაციო ობიექტებად განსაზღვრისა და პრივატიზაციის გეგმის

დამტკიცების შესახებ".

2. ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ეწერში მდებარე 40000.00 კვ.მ სასოფლოსამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.06.44.649) პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით, სარგებლობაში გადაცემისათვის სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემისა და ქირის წლიური საფასურის დადგენის შესახებ". გადაამოწმეთ: document.municipal.gov.ge

3. ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ეწერში მდებარე 124792.00 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.02.57.278) პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით, სარგებლობაში გადაცემისათვის სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემისა და ქირის წლიური საფასურის დადგენის შესახებ".

4. ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ დიდი ჯიხაიშში მდებარე 226404.00 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.02.42.150) პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით, სარგებლობაში გადაცემისათვის სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემისა და ქირის წლიური საფასურის დადგენის შესახებ" განკარგულება.

5. ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ტოლებში მდებარე 1490.00 კვ.მ არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.10.48.229) სახელმწიფოსათვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ".

(მომართვის N : 62-622119694, 15/07 /2021 წ. საკრებულოს რეგისტრაციის N 12-63211973-63, 16/07/2021 წ.)

კენჭისყრის შედეგად, ბიუროს წევრთა გადაწყვეტილებით, ძირითად განმხილველ კომისიად განისაზღვრა ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისია.

ამით, დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვა დასრულებულია.

სხდომის მდივანი: მაია როღობერიძე

კობა ძიძიგური

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავჯდომარე (მოვალეობის შემსრულებელი)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი